ნინო ხუბულია*

არასრულწლოვნის პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული გამოწვევები

არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების დაცვა ერთ-ერთი აქტუალური და პრობლემური საკითხია. საკითხის აქტუალობას განსაზღვრავს არასრულწლოვნის, როგორც მონაცემთა სუბიექტის სტატუსის, უფლებებისა და ამ უფლებების გამოხატვის საკანონმდებლო მოწესრიგების თავისებურებები. განსაკუთრებით საყურადღებოა ციფრული ტექნოლოგიების გავლენა არასრულწლოვნების ყოველდღიურობასა და უფლებების განხორციელებაზე. ნაშრომი მიმოიხილავს არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების დამუშავების ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს, რათა განისაზღვროს არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების დამუშავებისას მოსალოდნელი რისკები და გამოწვევები.

საკვანძო სიტყვები: *პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დაცვა, არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დამუშავება.*

1. შესავალი

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის, პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების, დაცვა. ამ დროს გასათვალისწინებელია არასრულწლოვნის, როგორც მონაცემთა სუბიექტის სტატუსი, მისი უფლებები, ამ უფლებების დამოუკიდებლად ან წარმომადგენლის მიერ განხორციელება და ძირითადი რისკების შეფასება, რაც მოიცავს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირების: სკოლების, ჯანდაცვის სექტორის და სხვა დაწესებულებების ინსპექტირებას, დარღვევათა გამოვლენას, პრევენციასა და ცნობიერების ამაღლებას, პერსონალურ მონაცემთა დაცვის კულტურის ჩამოყალიბებას.

მნიშვნელოვანია შეფასდეს არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების დამუშავების საკანონმდებლო მოწესრიგება და მის საფუძველზე განისაზღვროს მოსალოდნელი რისკები, თუ რამდენად პასუხობს „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი არსებულ პრობლემებს და რა საკითხები უნდა

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, მოწვეული ლექტორი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობების, ანალიტიკისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლებრივ საკითხთა კოორდინატორი.

გაითვალისწინონ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირებმა არასრულწლოვნის მონაცემების დამუშავებისას.

2. არასრულწლოვანთა მონაცემთა დამუშავების მომწესრიგებელი სპეციალური ნორმა

2023 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ", რომელიც ეფუძნება უნიკალურ სიახლეებს, ძირითად და მნიშვნელოვან სამართლებრივ დოკუმენტს წარმოადგენს საქართველოში პერსონალური მონაცემების დასაცავად.

რეგულირების სიახლე განსაზღვრა საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებთან (ევროპის საბჭოს 108-ე კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ, 108-ე კონვენციის შესწორების ოქმი, მოდერნიზებული 108-ე კონვენცია, მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია და სხვ.)[1] ჰარმონიზაციის საჭიროებამ, სტანდარტებისა და უფლების დაცვის მექანიზმების ქართულ კანონმდებლობაში დანერგვის აუცილებლობამ, ხოლო მეორე მხრივ, ცვლილებები ნაკარნახევი იყო პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ეფექტიანობისა და ინსტიტუციური დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და შესაბამისი რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფით. ამ კანონის მნიშვნელობა განპირობებულია მისი დარგობრივი, ფუნქციური და ფუძემდებლური ხასიათით.[2]

არასრულწლოვნების პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით კანონის მე-7 მუხლში განისაზღვრა არასრულწლოვნის შესახებ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის გაცემის წესი და პირობები. ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებად იქნა მიჩნეული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა არასრულწლოვანის მიერ.[3] ამ კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებად ჩაითვალა არასრულწლოვანის მონაცემების დამუშავება ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით.[4]

არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავება მისი თანხმობის საფუძველზე დასაშვებია, თუ მან 16 წლის ასაკს მიაღწია, ხოლო 16 წლამდე არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავება – მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, მათ შორის, როდესაც მონაცემთა დამუშავებისთვის აუცილებელია 16 წლიდან 18 წლამდე არასრულწლოვანისა და მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.[5]

---

[1] იხ. ევროპის საბჭო, მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, ლუქსემბურგი, ევროკავშირის საგამომცემლო სახლი, 2018, 20-21.

[2] შეად. *გოშაძე კ.*, პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და დამუშავების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიები, საქართველოს უნივერსიტეტი, თბილისი, 2017, 43.

[3] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ", 3144-XIმს-Xმპ, 14/06/2023, 61-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი.

[4] იქვე, 62-ე მუხლის „გ" პუნქტი.

[5] დამატებით იხ. *შუდრა თ.*, ციფრულ გარემოში არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დაცვა მშობლებისა და შვილების განსხვავებული მოლოდინების პირობებში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ჟურნალი, 1/2023, 112-115.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია მიიღოს ყველა გონივრული და ადეკვატური ზომა 16 წლამდე არასრულწლოვანის მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის არსებობის დასადასტურებლად, ხოლო არასრულწლოვანის შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მხოლოდ მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მნიშვნელოვანია საერთაშორისო სტანდარტების დამდგენი აქტების მიმოხილვა:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ბავშვის უფლებათა შესახებ გაეროს 1989 წლის კონვენცია საერთაშორისო დონეზე პირველი სამართლებრივი დოკუმენტია, რომელიც ბავშვების განსაკუთრებული ზრუნვისა და დაცვის საჭიროებას აღიარებს.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გლობალური ასამბლეის 2021 წლის რეზოლუცია ეხება ბავშვის ციფრულ უფლებებს, რომელშიც აღნიშნულია, რომ ბავშვები საჭიროებენ განსაკუთრებულ დაცვას. ისინი სარგებლობენ კონვენციით აღიარებული უფლებებით. ამ უფლებებით სარგებლობა მან უნდა შეძლოს ყველა სფეროში, მათ შორის ონლაინ სივრცეში. განმარტებულია, რომ ციფრული გარემო გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე, ყოველდღიურ ცხოვრებაზე, მათ მომავალსა და შესაძლებლობებზე.

მინისტრთა კომიტეტის 2021 წლის დეკლარაცია ციფრულ გარემოში ბავშვების პირადი ცხოვრების დაცვის საჭიროების შესახებ განსაზღვრავს ციფრულ გარემოში ბავშვების პირადი ცხოვრების დაცვას. აღნიშნულია რისკები, რომლებსაც არასრულწლოვანი აწყდება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებისას.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის (GDPR) 38-ე პუნქტის თანახმად, ბავშვები, თავიანთი პერსონალური მონაცემების დამუშავებისას, სარგებლობენ პერსონალური მონაცემების დაცვის განსაკუთრებული უფლებით, რადგან შეიძლება მათთვის ნაკლებად ცნობილი იყოს რისკები, შედეგები და დაცვის საშუალებები.

ევროპის საბჭოს 108-ე კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ და მოდერნიზებული 108-ე კონვენცია. მონაცემთა სუბიექტის თანხმობაზე მიუთითებს მოდერნიზებული 108-ე კონვენციის მე-5(2) მუხლი. ევროკავშირის სამართალში თანხმობა, როგორც მონაცემთა კანონიერი დამუშავების საფუძველი, მკაცრად არის დადგენილი GDPR-ის მე-6 მუხლით. მასზე მკაფიოდ მიუთითებს ქარტიის მე-8 მუხლიც. კანონიერი თანხმობის მახასიათებლები განმარტებულია რეგულაციის მე-4 მუხლში, ასეთი თანხმობის მოპოვების პირობები დეტალურად არის წარმოდგენილი მე-7 მუხლში, რაც შეეხება არასრულწლოვნისგან თანხმობის მიღების სპეციალურ წესებს საინფორმაციო საზოგადოების მომსახურებასთან დაკავშირებით, მათ ადგენს რეგულაციის მე-8 მუხლი.

3. არასრულწლოვანი, როგორც მონაცემთა სუბიექტი

ინფორმირებულობა პიროვნების თავისუფალი განვითარების ნაწილია და იგი დაფუძნებულია საკუთარი ნების, გადაწყვეტილების, არჩევანის შესაბამისად განვითარების შესაძლებლობაზე. პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ ინფორმაციის ზედმიწევნით ცოდნა ნებისმიერ ადამიანს, მათ შორის

არასრულწლოვანს, საშუალებას აძლევს დაიცვას და აკონტროლოს თავისი პირადი სფერო. ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს კანონმდებლობით „პერსონალური მონაცემები“ განიმარტება, როგორც მონაცემი იდენტიფიცირებული ან იდენტიფიცირებადი ინფორმაცია ფიზიკური პირის შესახებ, რომლის ვინაობა ცნობილია, ან შეიძლება დადგინდეს დამატებითი ინფორმაციის საფუძველზე.[6] გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ ჯერ კიდევ 1983 წელს განმარტა, რომ „მონაცემთა ავტომატური დამუშავების პირობებში, აღარ არსებობს უმნიშვნელო ინფორმაცია“.[7] ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ინდივიდთან, ერთი შეხედვით რაც არ უნდა არადამაზიანებლად აღიქმებოდეს, შესაძლოა იყოს განსაკუთრებული კატეგორიის“[8]. აქედან გამომდინარე, პერსონალური მონაცემები მოიცავს ნებისმიერ ინფორმაციას, იმისგან დამოუკიდებლად ეს ეხება პიროვნების პირად ცხოვრებას, სამუშაო, ეკონომიკურ, სოციალურ გარემოსა თუ პირის შესაძლებლობებს.[9] ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მიხედვით, იდენტიფიცირებადი ფიზიკური პირი არის ის, ვისი პირდაპირ ან არაპირდაპირ იდენტიფიცირებაც შესაძლებელია ისეთი იდენტიფიკატორის გამოყენებით, როგორიცაა: სახელი, პირადი ნომერი, ინფორმაცია ადგილმდებარეობის შესახებ, ონლაინ იდენტიფიკატორი ან ფიზიკური პირის იდენტობისათვის დამახასიათებელი ერთი ან მეტი ფიზიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, გონებრივი, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ფაქტორით.[10] ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-8 მუხლის თანახმად,[11] მონაცემთა დაცვა საყოველთაო უფლებას წარმოადგენს და არ შემოიფარგლება ცალკეული ქვეყნის მოქალაქეებით[12].

მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის პრეამბულის მიხედვით, არასრულწლოვნები სარგებლობენ პერსონალური მონაცემების დაცვის განსაკუთრებული უფლებით, რადგან მათთვის შეიძლება ნაკლებად იყოს ცნობილი ის რისკები, შედეგები, დაცვის მექანიზმები და უფლებები, რომლებიც უკავშირდება პერსონალური მონაცემების დამუშავებას.[13] განსაკუთრებული დაცვა უნდა შეეხოს:

- არასრულწლოვნების პერსონალური მონაცემების გამოყენებას მარკეტინგის მიზნებისთვის;
- პიროვნების ან მომხმარებლის პირადი ანგარიშის შექმნას;
- არასრულწლოვნებთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების შეგროვებას ისეთი მომსახურეობის გამოყენებისას, რომლის შეთავაზებაც არასრულწლოვანისათვის პირდაპირ ხდება.[14]

---

[6] Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the Protection of Natural Persons with regard to the Processing of Personal Data and on the Free Movement of Such Data, and Repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation), OJ L 119, 4/5/2016, 1–88 art. 4 (1); Council of Europe, Modernized Convention for the Protection of Individuals with Regard to the Processing of Personal Data (Convention 108+; CM/Inf (2018) 15-final), 18/05/2018, article 2 (a).

[7] German Federal Constitutional Court, 1 BvR 209/83, 269/83, 362/83, 420/83, 440/83, 484/83, 15 December 1983, margin number 150.

[8] Commission of the European Communities, COM (90) 314, final, 13 September 1990, 19.

[9] იხ.: WP29, Opinion 4/2007 on the concept of personal data, 20 June 2007, 6.

[10] General Data Protection Regulation, GDPR, Recital 14 sentence 1.

[11] კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება, 1948, მუხლი 8.

[12] General Data Protection Regulation, GDPR, Recital 14.

[13] General Data Protection Regulation, GDPR, Recital 38.

[14] General Data Protection Regulation, GDPR, Recital 38.

არასრულწლოვნები მონაცემთა სუბიექტის სტატუსს ითავსებენ სხვადასხვა შემთხვევაში, განსაკუთრებით კი ციფრულ ეპოქაში, სადაც მათი პირადი მონაცემები გროვდება, მუშავდება და ინახება სხვადასხვა მიზნებისთვის. მაგალითისთვის შესაძლოა განხილული იყოს სხვადასხვა შემთხვევები:

ონლაინ სერვისები და სოციალური მედია: დღესდღეობით ბავშვებისთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს გამოიყენონ სხვადასხვა ონლაინ პლატფორმა, სოციალური ქსელი, აპლიკაცია თუ საიტი, სადაც მათ პერსონალურ მონაცემებს აგროვებენ, რაც მოიცავს პირად ინფორმაციას, ფოტოებს, ვიდეოებსა ან სხვა ისეთი ინფორმაციას, რომელსაც შეუძლია მათი იდენტიფიცირება.

საგანმანათლებლო დაწესებულებები: საგანმანათლებლო დაწესებულებები, მათ, შორის, სკოლები აგროვებენ და ინახავენ მონაცემებს მათი მოსწავლეების შესახებ ადმინისტრაციული, საგანმანათლებლო თუ უსაფრთხოების მიზნით. ამგვარი მონაცემები მოიცავს დასწრების ჩანაწერებს, ქულებს, ქცევის ანგარიშებსა და ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციას, რაც ბავშვებს მონაცემთა სუბიექტებად აქცევს საგანმანათლებლო სივრცეში.

ჯანდაცვის სერვისები: ბავშვის მიერ სამედიცინო დახმარების ან მკურნალობის მიღებისას, ბენეფიციარების ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია გროვდება და მუშავდება ჯანდაცვის პროვაიდერების მიერ. რაც მოიცავს სამედიცინო ჩანაწერებს, დიაგნოზებს, მკურნალობის გეგმებსა და რეცეპტებს.

თამაშები და გართობა: ონლაინ თამაშები, აპლიკაციები და გასართობი პლატფორმები ხშირად აგროვებენ ბავშვების მონაცემებს ვირტუალურ გარემოსთან და პერსონაჟებთან ურთიერთობისას, რაც შემდგომში გამოიყენება მომხმარებლის გამოცდილების გასაუმჯობესებლად და შინაარსის მოსარგებად.

კვლევა და გამოკითხვა: ბავშვების მონაცემები შეიძლება დამუშავდეს კვლევითი მიზნებისთვის ან გამოკითხვებისთვის, განსაკუთრებით საგანმანათლებლო ან ფსიქოლოგიურ კვლევებში, რა შემთხვევაშიც, მნიშვნელოვანია, დაცული იყოს მათი კონფიდენციალობის უფლება.

4. არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დამუშავებისას გასათვალისწინებელი საკითხები

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი მიუთითებს, რომ არასრულწლოვნის პერსონალურ მონაცემთა დამუშავება უნდა განხორციელდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვით, თუმცა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპების ჩამონათვალში არ გხვდება რაიმე დათქმა ამ პრინციპების არასრულწლოვნების მონაცემების დამუშავების დროს ცვლილების შესახებ, რაც მიანიშნებს იმას, რომ მონაცემთა დამუშავების პრინციპების საფუძველზე დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა განსაზღვროს პირთა წრე ვისი პერსონალური მონაცემებიც მუშავდება.

ბავშვის უფლებათა კოდექსი არ კრძალავს ბავშვის პერსონალურ მონაცემთა დამუშავებას სხვადასხვა მიზნებისთვის, როგორებიცაა მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების და სოციალური დაცვის სფეროში. ეს უნდა განხორციელდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე და მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.[15]

[15] *კილაძე ს., ტურავა ჰ.,* ბავშვის უფლებათა კოდექსის სახელმძღვანელო კომენტარები, თბილისი, 2021, 278.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ბავშვის უფლებათა კოდექსის 71-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით, დაუშვებელია, რაიმე ფორმით, მათ შორის, მედიის საშუალებით, საჯარო გახდეს ადმინისტრაციულ წარმოებაში ან სასამართლო პროცესში მონაწილე ბავშვის პერსონალური მონაცემები, რომლებითაც შეიძლება გამჟღავნდეს ან არაპირდაპირ მიეთითოს ბავშვის ვინაობა (გამოსახულება, ბავშვის ან მისი ოჯახის წევრების დეტალური აღწერა, სახელები, მისამართები, აუდიო- და ვიდეოჩანაწერები და მსგავსი ინფორმაცია) - განუხრელად უნდა იქნეს დაცული. იმავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დაუშვებელია, რაიმე ფორმით, მათ შორის, მედიის საშუალებით, საჯარო გახდეს ბავშვის პერსონალურ მონაცემთა შემცველი ისეთი დოკუმენტი ან ჩანაწერი, რომელიც უკავშირდება ბავშვის მიმართ დისციპლინური ზომის გამოყენებას, ბავშვის მიმართ ან მის მიერ ჩადენილი ძალადობის შემთხვევას, ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ან ღარიბი ოჯახის სოციალური დახმარების ან საქველმოქმედო პროგრამაში ბავშვის მონაწილეობას და ბავშვთან დაკავშირებულ სხვა, მსგავსი შინაარსის ინფორმაციას. ნორმის მე-3 ნაწილი კი ადგენს, რომ ბავშვის პერსონალურ მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. შესაბამისად, პირის პერსონალური მონაცემების დამუშავება, მათ შორის, ფოტოსურათის გამოქვეყნება, გარდა საკანონმდებლო გამონაკლისებისა, დასაშვებია მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის თანხმობით.[16]

სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბავშვის მიმართ ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას გაცილებით მაღალი სტანდარტით უნდა იქნეს დაცული პერსონალური მონაცემები და გამოირიცხოს ბავშვის საუკეთესო ინტერესის ხელყოფა. სასამართლომ განმარტა, რომ საქმეში განსახილველ შემთხვევაში სიუჟეტის კონტექსტის, თემის, მასში გადმოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით, უდავოა, რომ ამავე სიუჟეტში არასრულწლოვნის გამოსახულების გამოქვეყნება არ იყო ბავშვის საუკეთესო ინტერესებით ნაკარნახევი, არ ემსახურებოდა ბავშვის უფლებების დაცვას და გამოიწვევდა არასრულწლოვანში ნეგატიურ განცდებს.

სასამართლო აღნიშნავს, რომ ბავშვს უფლება აქვს, მის მიმართ განხორციელებული ნებისმიერი ქმედებისას ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, შეფასდეს და უპირველესი ყურადღება დაეთმოს მის საუკეთესო/ჭეშმარიტ ინტერესებს როგორც საზოგადოებრივ, ისე კერძო სფეროში.[17]

სასამართლო მიუთითებს, რომ მართალია, ბავშვის უფლებათა კოდექსის 71-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით განსაზღვრულია არასრულწლოვნის გამოსახულების გამოქვეყნების დაუშვებლობის კონკრეტული შემთხვევები, მაგრამ ეს შემთხვევები არ უნდა აღვიქვათ ამომწურავ ჩამონათვალად. ნებისმიერი შემთხვევა, რომელიც შეეხება არასრულწლოვანს, განხილულ და გადაწყვეტილ უნდა იქნეს თითოეული გარემოების მხედველობაში მიღებით, ინდივიდუალური საქმის თავისებურებების გათვალისწინებით, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების მიღწევის საუკეთესო გზის შერჩევით. მსგავს მიდგომას მოითხოვს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიაც, რომლის ბავშვის უფლებების დაცვის სავალდებულოობას ცალკე პრინციპად განსაზღვრავს და ადგენს, რომ ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას

[16] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 21 სექტემბრის №ას-488-2023 გადაწყვეტილება.

[17] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 25 დეკემბრის №ა-1351-ბ-33-2023 გადაწყვეტილება.

ბავშვის უფლებები; პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვების შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის.[18] შესაბამისად, თითოეულ შემთხვევაში, ჟურნალისტმა უნდა უზრუნველყოს იმ ნეგატიური რისკებისა და შედეგების შეფასება, რაც შეიძლება მოჰყვეს არასრულწლოვნის იდენტიფიცირებას. თუკი არსებობს საფრთხე, რომ კონკრეტულ სიუჟეტში არასრულწლოვნის იდენტიფიცირებული ფორმით მონაწილეობა მის უფლებებსა და ჭეშმარიტ ინტერესებზე უარყოფით გავლენას იქონიებს, ბავშვის გამოსახულება მხოლოდ არაიდენტიციფიცირებული ფორმით უნდა გაშუქდეს.[19]

5. არასრულწლოვნის მონაცემების დამუშავების რისკები და გამოწვევები

მონაცემთა დამუშავება მოიაზრებს ნებისმიერ ქმედებას ან ქმედებათა ერთობლიობას პერსონალურ მონაცემთან ან მონაცემთა ერთობლიობასთან მიმართებაში, რომელიც ხორციელდება ავტომატური თუ სხვა საშუალებებით. მაგალითად: შეგროვება, აღრიცხვა/ჩაწერა, ორგანიზება, სტრუქტურირება, შენახვა, ადაპტაცია ან შეცვლა, ამოღება, გაცნობა, გამოყენება, გამჟღავნება გადაცემის, გავრცელების ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარად უზრუნველყოფის გზით, დაჯგუფება ან კომბინირება, შეზღუდვა, წაშლა ან განადგურება.

ა. ინტერნეტის გამოყენება და სოციალური ქსელებში ბავშვის მონაცემთა დამუშავება

დიდ ყურადღებას მოითხოვს არასრულწლოვნის მიერ ინტერნეტის გამოყენების საკითხი. არასრულწლოვნები შესაძლოა უფრო მეტად და ხშირად იყენებდნენ ონლაინ რესურსებს, ვიდრე მათი მშობლები, რის გამოც მშობლებს შეიძლება საჭიროდ არ მიაჩნდეთ ამ საკითხის საფრთხის სახით განხილვა, რადგან ყოველდღიურ ურთიერთობებში ონლაინ რესურსების გამოყენება ამარტივებს კომუნიკაციის საშუალებებს. ონლაინ რესურსებზე წვდომისას არსებობს არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების გამჟღავნების, დარღვევის და შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებების: იძულების, თაღლითობის და სხვა რისკები,[20] რომელიც განსაკუთრებულად საყურადღებოა. გასათვალისწინებელია ონლაინ რესურსის პლატფორმას აქვს თუ არა პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა და არასრულწლოვნის ყოველდღიურობაზე როგორც აისახება მისი სარგებლობის მასშტაბი. იცნობს თუ არა არასრულწლოვნის მშობელი ან არასრულწლოვანი იმ ონლაინ რესურსის კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების პარამეტრებს, რომელსაც ყველაზე ხშირად იყენებს. არასრულწლოვნის მონაცემების ინტერნეტში ყველასთვის ხელმისაწვდომი ფორმით გასაჯაროებამ შესაძლოა არასასურველი ზეგავლენა მოახდინოს არასრულწლოვანზე (გახდეს ბულინგის ან სხვა სახის არასასურველი მოპყრობის ობიექტი).[21]

---

[18] შეად. *ფირცხალაშვილი ა., ქარდავა ე., ტურავა პ.,* სოციალური სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2023, 347-348.

[19] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 21 სექტემბრის №ას-488-2023 გადაწყვეტილება.

[20] *გურგენიძე მ.,* ბავშვის პერსონალური მონაცემების დაცვა ინტერნეტსივრცეში, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი, 2020, 31-32.

[21] European Union, Children's Online Privacy and Data Protection in Selected European Countries, 2021, No. 2021-020137, The Law Library of Congress, Global Legal Research Directorate, 18-19.

ბ. სკოლაში არასრულწლოვნის ქცევის მონიტორინგი და მოსწავლის მონაცემთა დამუშავება

სკოლა უფლებამოსილია განახორციელოს ვიდეოთვალთვალი სკოლის ტერიტორიაზე, მაგრამ მხოლოდ პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, არასრულწლოვნის მავნე ზეგავლენისაგან დაცვისა და საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნებისათვის. ვიდეოგადაღება დასაშვებია მხოლოდ შესასვლელსა და გარე პერიმეტრზე. გამოსაცვლელ ოთახებსა და ჰიგიენისთვის განკუთვნილ ადგილებში ვიდეოთვალთვალი დაუშვებელია. სკოლას უფლება აქვს აკონტროლოს მოსწავლეების შენობაში შესვლა და შენობიდან გასვლა, ასევე, აღრიცხოს ვიზიტორთა სახელი და გვარი, საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ნომერი და სახე, მისამართი, შესვლისა და გასვლის თარიღები და დრო, ასევე შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის მიზეზები. ამ მონაცემთა შენახვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს კანონით განსაზღვრულ ვადას.[22] სკოლას შეუძლია ფოტო/ვიდეო გადაღებით დააფიქსიროს და შემდგომ გაასაჯაროოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა, მაგრამ მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის თანხმობით.[23] თანხმობის მიღებისას გათვალისწინებული უნდა იყოს მოსწავლის საუკეთესო ინტერესები. სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლის ყოფნის მთელ პერიოდში იქნება ეს საგაკვეთილო პროცესის თუ დასვენების პერიოდი უნდა განისაზღვროს ის მიზნები, რომლებიც შეიძლება ჰქონდეს სკოლას მოსწავლის პერსონალური მონაცემების დასამუშავებლად. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ვიდეომონიტორინგი იმისთვის, რომ საგაკვეთილო პერიოდი უხარვეზოდ წარიმართოს და ამ დროს მოსწავლე არ იმყოფებოდეს საკლასო ოთახს გარეთ. ასევე, ვიდეომონიტორინგი იმისთვის, რომ საგაკვეთილო პროცესში მოსწავლემ არ დატოვოს სკოლის ტერიტორია ან სკოლის ტერიტორიაზე არ მოხდეს უცხო პირთა შესვლა.[24] საგანმანათლებლო დაწესებულებები, ამ დაწესებულებებში დასაქმებული პირები, ასევე, არასრულწლოვანი პირების მშობლები და ოჯახის წევრები, მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ ბავშვების მონაცემების გასაჯაროებას და იმოქმედონ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.[25]

გ. სამედიცინო დაწესებულებაში ბავშვის მონაცემების დამუშავება

არასრულწლოვანთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების გაცემის შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ინფორმაციის შემდგომი გამოყენების რისკების შეფასებას. არასრულწლოვანთა მონაცემები საჭიროებს უფრო მეტ დაცვას, ამ მიზნით კი მონაცემთა თითოეული დამმუშავებელი ვალდებულია უპირველესად მოქმედებდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე. მშობლების თანხმობის მიუხედავად, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, საჯარო ინფორმაციის სახით მისი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ან სხვა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა მესამე პირისთვის გამჟღავნება დაუშვებელია და განიხილება

[22] შეად. European Data Protection Supervisor, Study on the Essence of the Fundamental Rights to Privacy and to the Protection of Personal Data, EDPS 2021/0932, December 2022.

[23] Guide to the General Data Protection Regulation, Bird & Bird, 2020, 6-7.

[24] იხ. სუხაშვილი ნ., დისტანციური სწავლების დროს სკოლის მოსწავლეების პერსონალური მონაცემების დაცვა, სტატიათა კრებული: პერსონალურ მონაცემთა დაცვის აქტუალური პრობლემები და გამოწვევები, თბილისი, 2021, 9-10.

[25] შეად. გორგილაძე ა., ძალადობის მსხვერპლი ბავშვების პერსონალური მონაცემების დაცვა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის თავისებურებები (სტატიათა კრებული), 2020, 55.

არაპროპორციულ და მონაცემთა დამუშავების მიზნის შეუსაბამო მოქმედებად.[26] რისკების შეფასებისას მნიშვნელოვანია განისაზღვროს თუ საიდან შეიძლება გამომდინარეობდეს არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების დამუშავების უფლება.[27]

დ. პერსონალური მონაცემების დამუშავების კონტექსტში გასათვალისწინებელი საკითხები

ბავშვის სიცოცხლისა და პიროვნული განვითარების უფლება გულისხმობს, რომ ბავშვს აქვს სიცოცხლისა და პიროვნული განვითარების უფლება. სახელმწიფო იღებს ბავშვის სიცოცხლის დასაცავად საჭირო ყველა ზომას და ქმნის მისი ჰარმონიული განვითარებისთვის საჭირო ყველა პირობას ბავშვის უფლებათა კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმების, საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

ბავშვის განათლების უფლება გულისხმობს, რომ ყველა ბავშვს აქვს ხარისხიანი და ინკლუზიური განათლების მიღებისა და თანაბარი ხელმისაწვდომობის უფლება. სახელმწიფო უზრუნველყოფს განათლების ინკლუზიური სისტემის ყველა ბავშვისთვის თანაბარ ხელმისაწვდომობას.

ბავშვის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება გულისხმობს, რომ ბავშვს უფლება აქვს, ჰქონდეს პირადი სივრცე, აწარმოოს პირადი მიმოწერა. დაუშვებელია ბავშვის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების უკანონო შეზღუდვა, მათ შორის, მის პირად სივრცეში, ოჯახურ ცხოვრებაში ან პირად მიმოწერაში დაუსაბუთებელი და არაკანონიერი ჩარევა.

ბავშვის აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებითა და ინტერნეტით სარგებლობის თავისუფლების უფლებები გულისხმობს, რომ ბავშვს უფლება აქვს, თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი. ბავშვს ასევე უფლება აქვს, მოუსმინონ მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას და გაითვალისწინონ ბავშვის მოსაზრება მისი ასაკისა და გონებრივი და ფიზიკური განვითარების შესაბამისად. ბავშვს უფლება აქვს, თავისუფლად მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია სხვადასხვა საშუალებითა და ფორმით. ბავშვს აქვს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობის და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება.

გამოწვევათა საპასუხოდ ფართოდ უნდა განიმარტოს ნორმა, რომელიც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის“ შესახებ საქართველოს ახალმა კანონმა დანერგა. ამ კანონის მე-7 მუხლში მოცემულია არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის გაცემის წესი და პირობები. ეს მუხლი განსაზღვრავს, რომ არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავებისას დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია გაითვალისწინოს და დაიცვას არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესები, ხოლო არასრულწლოვანის, მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა მონაცემთა დამუშავებაზე არ ჩაითვლება ნამდვილად, თუ მონაცემთა დამუშავება საფრთხეს უქმნის ან ზიანს აყენებს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებს.

---

[26] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გადაწყვეტილებები, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება, 2020.

[27] დამატებით იხ. არჩუაძე თ., პერსონალურ მონაცემთა დეპერსონალიზაცია, როგორც მონაცემთა სუბიექტის დაცვის გარანტია, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, 5/2020, 117.

2022 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა შეისწავლა არასრულწლოვნების პერსონალური მონაცემების დამუშავების 39 შემთხვევა, რომელთაგან 27 განხორციელდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინიციატივით, ხოლო 12 მოქალაქეთა განცხადების / შეტყობინების საფუძველზე. სამსახურში წარმოდგენილი განცხადებები ძირითადად შეეხებოდა არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების სამედიცინო დაწესებულების მიერ უკანონო გამჟღავნებას, ვიდეოთვალთვალის წესების დარღვევას, პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის მონაცემთა დარღვევით დამუშავებასა და სხვა ფაქტებს, სადაც კანონის მოთხოვნათა დარღვევით დამუშავდა არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემები.

6. დასკვნა

არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული გამოწვევების საერთო მასშტაბი ფართო და მრავლისმომცველია, რადგან მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირებისთვის ჯერ კიდევ არ აღიქმება ნათლად თუ რა ფორმით და ხარისხით უნდა დამუშავდეს არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემები.

გამომდინარე იქედან, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ძირითად მიმართულებებს შორის ერთ-ერთია მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდება და მისი ინფორმირებულობის გაზრდა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს არასრულწლოვნების პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ არა მხოლოდ ცნობიერების ამაღლება, არამედ ერთგვარი სტრატეგიების შემუშავება, ინსპექტირების მოქნილი მოდელისა და შესაბამისი სტანდარტების განსაზღვრა ახალი კანონის მე-7 მუხლის მოქმედებასთან დაკავშირებით.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის ამოქმედებასთან ერთად საყურადღებოა კანონის მოთხოვნათა ასახვა მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირების მოქმედებებში, რომლებიც არასრულწლოვნების პერსონალურ მონაცემებს ამუშავებენ. არასრულწლოვნებში თავიანთი უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ გამოწვევების დროულ გამოვლენას და ხელს შეუწყობს საპასუხო ნაბიჯების გადადგმას.

ბიბლიოგრაფია:

1. კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, 1948.
2. ევროპის საბჭოს 108-ე კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ, 1981.
3. მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია (GDPR), 2016.
4. ევროპის საბჭოს 108-ე მოდერნიზებული კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ, 2018.
5. საქართველოს კანონი “ბავშვის უფლებათა კოდექსი”, 5004-Ის, 20/09/2019.

6. საქართველოს კანონი "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ", 3144-XIმს-Xმპ, 14/06/2023.
7. *არჩუაძე თ.,* პერსონალურ მონაცემთა დეპერსონალიზაცია, როგორც მონაცემთა სუბიექტის დაცვის გარანტია, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, 5/2020, 117.
8. *გოშაძე კ.,* პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და დამუშავების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიები, საქართველოს უნივერსიტეტი, თბილისი, 2017, 43.
9. *გორგილაძე ა.,* ძალადობის მსხვერპლი ბავშვების პერსონალური მონაცემების დაცვა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის თავისებურებები (სტატიათა კრებული), 2020, 55.
10. *გურგენიძე მ.,* ბავშვის პერსონალური მონაცემების დაცვა ინტერნეტსივრცეში, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი, 2020, 31-32.
11. ევროპის საბჭო, მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, ლუქსემბურგი, ევროკავშირის საგამომცემლო სახლი, 2018, 20-21.
12. *კილაძე ს., ტურავა პ.,* ბავშვის უფლებათა კოდექსის სახელმძღვანელო კომენტარები, თბილისი, 2021, 278.
13. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გადაწყვეტილებები, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება, 2020.
14. *სუხაშვილი ნ.,* დისტანციური სწავლების დროს სკოლის მოსწავლეების პერსონალური მონაცემების დაცვა, სტატიათა კრებული: პერსონალურ მონაცემთა დაცვის აქტუალური პრობლემები და გამოწვევები, თბ., 2021, 9-10.
15. *ფირცხალაშვილი ა., ქარდავა ე., ტურავა პ.,* სოციალური სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2023, 347-348.
16. *შუდრა თ.,* ციფრულ გარემოში არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დაცვა მშობლებისა და შვილების განსხვავებული მოლოდინების პირობებში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ჟურნალი, 1/2023, 112-115.
17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 21 სექტემბრის №ას-488-2023 გადაწყვეტილება.
18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 25 დეკემბრის №ა-1351-შ-33-2023 გადაწყვეტილება.
19. Commission of the European Communities, COM (90) 314, final, 13 September 1990, 19.
20. European Union, Children's Online Privacy and Data Protection in Selected European Countries, 2021, No. 2021-020137, The Law Library of Congress, Global Legal Research Directorate, 18-19.
21. Guide to the General Data Protection Regulation, Bird & Bird, 2020, 6-7.
22. ICO, Children and the GDPR, 2018, 1.
23. European Data Protection Supervisor, Study on the Essence of the Fundamental Rights to Privacy and to the Protection of Personal Data, EDPS 2021/0932, December 2022.
24. WP29, Opinion 4/2007 on the Concept of Personal Data, 2007, 6.